სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი **2014 წლის 17 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოსწევრები: 1. გაგნიძე ინეზა 2. მექვაბიშვილი ელგუჯა 3. ზარანდია ერეკლე 4. ჩიტაძე სოფიო 5. ელიაშვილი მერაბი 6. თუთბერიძე ბეჟანი 7. ომანაძე როლანდი 8. ქურდიანი რევაზი 9. იმნაძე პაატა 10. მარგველაშვილი ვლადიმერი 11. ოკრიბელაშვილი ნინო 12. თურქიაშვილი შორენა 13. მაცაბერიძე მალხაზი 14. ჩოხელი ლევანი 15. ბარამიძე ცირა 16. ბახტაძე მიხეილი 17. ბრაჭული ირაკლი 18. გელოვანი ნანი 19. ლიჩელი ვახტანგი 20. ლორია კახაბერი 21. სამხარაძე ლაშა 22. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. გაფრინდაშვილი ნანი 2. ქურდაძე რამაზი 3. გერსამია მარიამი 4. შენგელაია ალექსანდრე 5. ნადარაია ელიზბარი 6. სურგულაძე ნუგზარი 7. მარშავა ქეთევანი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ წარმოადგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილები. მისი განცხადებით, ცვლილებები ძირითადად ეხება ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტების წესსა და საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლობის რაოდენობის განსაზღვრას. ფაკულტეტის დებულების წინა ცვლილებით შეიქმნა ერთი ახალი კათედრა, რამაც ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტებაში შესაბამისი ცვლილებები გამოიწვია, ვინაიდან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოში პროფესორთა წარმომადგენლობა კათედრების მიხედვით განისაზღვრება. ცვლილებებით, ასევე, ზუსტდება რამდენიმე ტექნიკური საკითხი. წარმოდგენილი პროექტი უკვე მიღებულია ფაკულტეტის საბჭოზე და შეთანხმებულია უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტთან.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა - ქალბატონმა ინეზა გაგნიძემ, ბატონმა ბეჟან თუთბერიძემ და აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ალექსანდრე შენგელაიამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილებები (დანართი 3)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2014 წლის 17 ოქტომბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- ზარანდია ერეკლე
- ჩაბაკაური გიორგი
- ჩიტაძე სოფიო

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- კერესელიძე დავითი

- ქურდიანი რევაზი

სტუდენტები:

- ბახტურიძე პაატა
- გუბაძე ვასილი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- სამხარაძე ლაშა
- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2014 წლის 17 ოქტომბერი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- გალდავა გიორგი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

შევიდეს შემდეგი ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში:

1. მე-10 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს წევრთა ¼-ს, დამრგვალება ხდება სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.“
2. მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფაკულტეტის საბჭო შედგება 39 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის დეკანი, 28 წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან და 10 წევრი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლობიდან.
3. მე-13 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ინიშნება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“
4. მე-13 მუხლის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „აკადემიურ პერსონალს შორის ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევა ხდება ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან (კათედრებიდან), ყოველ სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს ფაკულტეტის საბჭოში ორი წარმომადგენელი. კანდიდატების დასახელება ხდება კათედრის სხდომაზე. კათედრის თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან/და სხვისი კანდიდატურის დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი კონკრეტული კათედრიდან დადგენილი რაოდენობის შესაბამისად ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა თანაბარი რაოდენობა.“